

სინუსიტი საზოგადოდ ცხვირის დანამატი წიაღის ლორწოვანის ანთებაა. ის შესაძლოა სურდოს, გრიპის, ქუნთრუშმასა თუ სხვა ინფექციური დაავადების შემდეგ გართულების სახით განვითარდეს. მწვავე სინუსიტი შეიძლება გამოიწვიოს როგორც ცირუსულმა, ისე ბაქტერიულმა ინფექციამ. არასათანადო და დაგვიანებული მკურნალობის შემთხვევაში სინუსიტი მძიმე შედეგებითაც შეიძლება გართულდეს, მაგალითად, მხედველობის ნერვის ანთებით, მენინგიტით, ოსტეომიელიტით (წიაღის არის ძვლის ჩირქოვანი ანთება) და სხვა.

რა განაპირობებს სინუსიტების განვითარებას, როგორ ცლინდება წიაღის ანთება და რა უნდა გავითვალისწინოთ მის საპროფილაქტიკოდ, ამ საინტერესო საკითხებზე კომენტარი ვთხოვთ აკადემიკოს ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის (რესპუბლიკური საავადმყოფოს) ოტორინოლარინგოლოგება და ბლასტიკურ ქირურგებს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს – ქეთევან ჭაფარიძეს:

## რათომ ვითარდება სინუსიტები

— ქალბატონო ქეთევან, რა იწვევს სინუსიტებს?

— სინუსიტებს, ანუ ცხვირის დანამატი წიაღების ანთებას, უმთავრესად იწვევს ცხვირიდან სუნთქვის შეფერხება, თუმცა არსებობს ოდონტოგენური ანუ კბილისმიერი სინუსიტიც, გამოწვეული კბილების ბათოლოგით. ასეთი ანთება ძირითადად ვითარდება ზედა ყიდის, ანუ ჰაიმორის წიაღში.

ცხვირიდან სუნთქვის დარღვევით გამოწვეული სინუსიტების დროს ანთების მიზეზი მუკოფილიარული ტრანსპორტის დარღვევაა. მკითხველისათვის გასაგები ერთ რომ განვმარტოთ – მუკოფილიარული ტრანსპორტი არის ცხვირისა და მისი დანამატი წიაღების თვითგამოწენდის მექანიზმი. ადამიანი დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ ჩაისუნთქავს 15–25 ათას ლიტრ ჰაერს, რომლის გამჭენდა და გათბობა ზედა სასუნთქ გზებში ხდება. ცხვირის ღრუპირელი ხედება გარემოდან შემოსულ პათოგენურ მიკრობებს, სწორედ აქ ვითარდება უხშირესად ანთებითი პროცესები – ადგილობრივი იმუნიტეტის ლოკალური „ბრძოლა“ პათოგენურ ფლორასთან. ამ ტრანსპორტის უწყვეტად მოძრაობას განაპირობებს ჰაერის ნაკადი. როდესაც ნაკადი რაღაც მიზიტების გამო ფერხდება, ჩერდება ცხვირისა და სინუსების მუკოფილიარული ტრანსპორტი, ირლევე წიაღების სავალების ნორმალური ფუნქციონაცია, ხოლო თუ ეს პროცესი გაგრძელდა, წიაღებში არსებული უარყოფითი წნევის გამო იწყება იმ პროცესების კასკადი, რომლებიც ღრუებში ანთებითი ცვლილებების ჩამოყალიბებას განაპირობებს. წიაღებში გამუდმებით გამოიყოფა სეკრეტი, რომელიც სავალების დახშობის გამო ვერ აღწევს გარეთ, გროვდება და ერთგვარ „ბულიონს“ ქრისტინის მიკრობების გამრავლებისთვის.

ცხვირიდან სუნთქვის შეფერხების დროს ხშირად ვითარდება პანსინუსიტი, ანუ რამდენიმე წიაღში

ერთდროულად მიმდინარეობს ანთება. ყველაზე ხშირად გვხვდება ეთმოიდიტი (ცხავის ძვლის ლაბირინთის ანთება), შემდეგ ჰაიმორიტი (ზედა ყბის წიაღის ანთება), ფრონტიტი (შუბლის წიაღის ანთება) და ყველაზე იშვიათია სფეროიდიტი (სოლისებრი ძვლის წიაღის ანთება).

— რომელი სიმპტომებისას უნდა ვიეჭვოთ წიაღების ანთება? უხშირესად რას უჩივიან პაციენტები?

— ყველაზე მეტად აწუხებთ ცხვირიდან უხვი გამონადენი და ტკივილი წიაღების პროექციაზე. ხშირად სინუსიტი თავის ტკივილით გამოიხატება და სავალების დახშობის გამო გამონადენიც არ აღენიშნებათ ხოლმე, ასეთ დროს სინუსიტის დასადგენი ყველაზე მარტივი ხერხია თავის სწრაფად დახრა, ამ დროს ტავილი წიაღების არეში მკვეთრად იმატებს.

— როგორ დგინდება სინუსიტები?

— ზოგადი ანამნეზით, შემდგომ რენტგენოლოგიური და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევით.

— პაციენტები ხშირად თვითმკურნალობას მიმართავენ, იტარებენ სხვადასხვა პროცედურას, იღებენ ამა თუ იმ მედიკამენტს. რა არის მიუღებელი, თუნდაც დაუშვებელი ასეთ დროს და რატომ?

— საზოგადოდ, პაციენტებს ახასიათებთ მეგობრის რჩევების გათვალისწინება, მათი რეკომენდაციით ამა თუ იმ წამლის მიღება, ან კიდევ ადრე ჩატარებული მკურნალობის განმეორება. ზოგ შემთხვევაში ასეთი სახის თვითმკურნალობა ამართლებს, მაგრამ თუ რთული ანთებაა, არასწორმა მკურნალობამ შეიძლება ისეთი გართულებები გამოიწვიოს, რომელთა მკურნალობაც შემდგომ უფრო ძნელდება. შესაძლოა პაციენტი ბოლომდე ვერ განიკურნოს და სამუდამოდ დაავადდეს ქრონიკული სინუსიტით.

დაუშვებელია ანტიბიოტიკების თვითნებური მიღება, თვითნებური გამორეცხვა, რომლის დროსაც,

## წიაღები ნორმაში

## წიაღების მდგრადი სინუსიტის დროს

შუბლის  
ჭიაღი

ცხავის  
ძვლის  
ლაბირინთი

ზედა  
ყბის ანუ  
ჰაიმორის  
ჭიაღი

ლორწო  
და ანთება  
ყველა  
ჭიაღში

არხი,  
რომლითაც  
პერი ხვდება  
ჰაიმორის  
ჭიაღში

განკურნების ნაცვლად, შესაძლოა ინფიცირება სხვა ჭიაღებსა და ყურშიც შევიტანოთ. ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია სპეციალისტის დახმარება.

— მედიკამენტური მკურნალობის გარდა, როგორ მკურნალობენ სინუსიტებს, რას გვეტყვით ინპალაციებზე, ფიზიოთერაპიულ პროცედურებზე, სხვა არამედიკამენტურ საშუალებებსა თუ მეთოდებზე? რომელია ეფექტური და მიზანშეწონილი?

— გააჩნია ანთების სიმძიმეს, რთულ შემთხვევაში აუცილებელია ანტიბიოტიკოთერაპია. თუ ჭიაღში ჩირქია და მისი ევაკუაცია ვერ ხერხდება, ინიშნება ცხვირის ლორწოვანის შეშუბების საჭინააღმდეგო და ასევე სამკურნალო წვეთები. სავალებს კარგად სწორი ინპალაციებიც. ეს პროცედურა ათხირებს გამონადენს და აადვილებს მის ევაკუაციას. ადრე ხშირად მიმართავდნენ ჰაიმორის ჭიაღის უნიტების, ანუ ცხვირის ღრუდან მექანიკურად ხვრეტდნენ.

ჭიაღის კედელს, გამოჰქონდათ მისი შიგთავსი და გამორჩებავდნენ. ბოლო დროს ისე დაიხვეშა მედიკამენტები, რომ უნიტების ძალზე იშვიათად აკეთებენ.

— რას ურჩევთ მკითხველს სინუსიტების საპროფილაქტიკოდ?

— უპირველესად, აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა. ზედა სასუნთქი გზებისა და მთელი ორგანიზმისათვის პირველი მტერი თამბაქოა. ის აზიანებს ლორწოვანს, რომელიც უმნიშვნელოვანესია პათოგენური მიკრობებისგან ორგანიზმის დასაცავად. ლორწოვანზე დამატიანებლად მოქმედებს ქალაქის დაბინძურებული ჰაერი, ასევე გათბობისა თუ კონდიცირების გამო გამომშრალი ჰაერი. ამიტომ თუ მტერიან ან „დავირუსებულ“ გარემოში მოხვდით, კარგი იქნება ძილის წინ ფიზიოლოგიური ხსნარით ცხვირის ღრუს გამორეცხვა (ჰანმრთელთათვის ასეთი პროცედურის სახლში ჩატარება უსაფრთხოა),

უკვე არსებული გამონადენის დროს კი სასურველია ექიმთან კონსულტაცია.

ბინაში აუცილებელია ჰაერის დატენანება. ამისთვის გამათბობელთან ან კონდიციონერის ოთახში საკმარისია წყლით სავსე ქილის მოთავსება. შეიძლება ჰაერის სპეციალური დამატებიანებლის შეძენაც.

ცხვირიდან ჩირქოვანი გამონადენის დროს დროულად მიმართეთ ექიმს!

### ჰანმრთელი წიაღი

#### სინუსიტი

შუბლის ჭიაღი  
ცხავის ძვლის  
ლაბირინთის  
სილისებრი ძვლის  
ჭიაღი  
ზედა ყბის  
(ჰაიმორის) ჭიაღი

#### ანთებადი წიაღი

ესაუბრა  
თინათინ გოგაძე